ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №1178010

ნომერი: AR1200984

თარიღი : 01.03.2014

გაცემის თარიღი : 19.03.2014

გაცნობის თარიღი : 19.03.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მერაბ აბესლამიძე პ/ნ 61006002936
- ბათუმი, ტაბიძის 33

ორგანიზაცია:
- შპს სავარძელი კოდი: 245548064

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის17.01.2007 წ. #29 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანისთაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 01.03.2013 წ. #AR1200984 განცხადებით მომართა მერაბ აბესლამიძემ და მოითხოვა 17.01.2007 წელს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის #29 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 17.01.2007 წ. ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში არსებულ საკადასტრო ერთეულზე (#72.14.34.010) სავაჭრო-საოფისე შენობის აშენების მიზნით დადგინდა #29 ქალაქთმშენებლობითი პირობები. აქტი გაცემულ იქნა 596 კვ.მ ფართობის, #72.14.34.010 საკადასტრო ერთეულზე.

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. 17.01.2007 წ. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის #29 ქალაქთმშენებლობით პირობები გაცემულია “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების საფუძველზე, რომლის თანახმადაც ქალაქთმშენებლობით პირობებში უნდა აისახოს საკადასტრო ერთეულის ცვლილებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ნაწარმოებია სამშენებლო სამუშაოები, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქთმშენებლობით პირობებში შეიტანოს ცვლილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილებისა და ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე’’ ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის #194 განკარგულების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

## ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 17.01.2007 წ. #29 ქალაქთმშენებლობით პირობებში დაკორექტირდეს განაშენიანების რეგულირების ხაზი და განისაზღვროს 4 მეტრით;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 17.01.2007 წ. #29 ქალაქთმშენებლობით პირობებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.